ხელშეკრულება №33

ერთ პირთან მოლაპარაკება

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო: 20.01. 2011 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, ქ. ფოთის №4 საჯარო სკოლა, მისი დირექტორის მ/შ-ის კობა სამურკასოვის სახით შემდეგში „შემსყიდველი" (ქ. ფოთი, დ. თავდადებულის ქ. №13 ტელ.: 8(293) 2 15 06) და მეორეს მხრივ, ი/მ „თენგიზ წულაია", ხელმძღვანელის თენგიზ წულაიას სახით (მის: ასათიანის ქ. № 82, ტელ: 895 35 52 75) (შემდეგში „მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „შემსყიდველი" ავალებს, ხოლო „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს „შემსყიდველს" სამსახურში პრინტერის კარტრიჯისათვის საღებავი (ფხვნილი) და გაუწიოს აუცილებელი სარემონტო სამუშაოები წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული ფასებისა და მიწოდების ცხრილის თანახმად (იხ. დანართი №1)

2.2 „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" მიწოდებული საქონლის ღირებულება, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ეკისრება „შემსყიდველ" ორგანიზაციას. საქონლის მიღებაზე ცონტროლს განახორციელებს ქ. ფოთის №4 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ კობა სამურკასოვი.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება „მიმწოდებლის" მიერ 2011 წ. 30 ივნისი.

4.2 საქონლის მიწოდების დროს „მიმწოდებელმა" უნდა წარუდგინოს „შემსყიდველს" შემდეგი დოკუმენტაცია: სასაქონლო ზედნადები, საქონლის რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.

4.3 „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას ამ ხელშეკრულების 4.2 ქვეპუნქტის შესრულების შემდეგ, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" მიწოდებული საქონლის ღირებულება.

4.4 „მიმწოდებლის" მიერ საქონლის მიწოდებისას, თუ აღმოჩნდა რომ აღნიშნული საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონელს ან წარმოდგენილი არ იქნა ამ მუხლის 4.2 პუნქტით გათვალისწინებული საბუთები, „შემსყიდველი" ორგანიზაცია უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მისაწოდებელი საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ორმხრივად ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველის" შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის (ან მისი ნაწილის) შეცვლა „შემსყიდველის" მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გარეშე.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო

6.2 ანგარიშსწორება იწარმოებს ეროვნულ ვალუტაში – ლარებში

6.3 საქონლის მიწოდების შემდეგ ანგარიშსწორების განხორციელებისათვის, „მიმწოდებელმა" უნდა წარუდგინოს „შემსყიდველს" ამ ხელშეკრულების 4.2 და 5.1 პუნქტებში აღნიშნული დოკუმენტები.

6.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ამ ხელშეკრულების 6.3 პუნქტის შესრულების შემდეგ 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

7. საქონლის ფასი

7.1 მისაწოდებელი საქონლის ფასი დაფიქსირებულია საქონლის ფასებისა და მიწოდების გრაფიკში (იხ. დანართი №1), რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

7.2 სულ „ხელშეკრულების ფასი" შეადგენს: 360 (სამასსამოცი) ლარს.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, „მიმწოდებელს" ყოველ გადაცილებულ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლო „ხელშეკრულების ფასის" 0,1%-ის ოდენობით.

8.2 ხელშეკრულების 6.4 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, „შემსყიდველს" ყოველ გადაცილებულ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლო, სასაქონლო ზედნადებში მითითებული თანხის 0,1%-ის ოდენობით.

8.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1 „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ უთანხმოება და დავა.

9.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

10. გამოყენებული სამართალი

10.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11. ხელშეკრულების ენა

11.1 ხელშეკრულება დადებულია ქართულ ენაზე 4 (ოთხი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად.

12. გადასახადები და დაბეგვრა

12.1 ადგილობრივი „მიმწოდებელი" პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე და სრულ ანგარისწორებამდე.

14. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	‚მიმწოდებელი"
ს/ს „პროკრედიტ ბანკის"-ს ფოთის ფილიალი	ს/ს „საქართველოს ბანკი"
ა/ა №360801011000042 ბ/კ № 220101920 ს/კოდი №215108238	ა/ა **GE49GO0000000892698300**
№4 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ	ბ.კ. 220101502
კობა სამურკასოვი	ინდ. საწარმო „თენგიზ წულაია"-ს დირექტორი თენგიზ წულაია